საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო
Министерство высшего и среднего специального образования Грузинской ССР

ქუთაისის ა.ღ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი
КУТАИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ ПЕДАГОГИЧЕСКИЙ ИНСТИТУТ ИМЕНИ А. ЦУЛУКИДЗЕ

ქ. ქუთაისი, კიროვის ქ. № 55 ტელეფონი № 5-21-73 ჩვენი საფოსტო ინდექსი 384000
г. Кутаиси, ул. Кирова Телефон Наш почтовый индекс

ქპი სტ. შ. 1121 ტ. 1000 1986 წ.

№ ——— „——“ ——— 198 წ. г

ნეკროლოგი

გარდაიცვალა ქუთაისის ა.წულუკიძის სახ.სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე, სკკპ წევრი I940 წლიდან თამარ იოსების ას ახვლედიანი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება წიგნისადმი სამსახურს შესწირა. იგი დაიბადა I908 წელს ქუთაისში. ქუთაისის ჰუმანიტარული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაკოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა I929 წელს I940 წელს მან დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო ბიბლიოთეკო ინსტიტუტის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

სხვადასხვა დროს თ.ახვლედიანი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მდივნად. თბილისის 3I-ე საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. I934 წლიდან მუშაობდა ბიბლიოთეკარად ქუთ.პედინსტიტუტში, I974 წლიდან დღემდე კი მუშაობდა სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგედ. შეთავსებით ქალაქის პირველ საბავშვო ბიბლიოთეკაში.

თ.ახვლედიანი სპეციალურად მუშაობდა ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა ნაშრომების ბიბლიოგრაფიის შედგენაზე, რომელთა ნაწილიც გამოქვეყნდა ინსტიტუტის შრომებში. სამსახურეობრივ მოვალეობასთან ერთად იგი წარმატებით ასრულებდა სხვადასხვა საზოგადოებრივ დავალებებს: სხვადასხვა დროს არჩეული იყო ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა და თანამშრომელთა პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილედ.

თ.ახვლედიანი დაჯილდოებული იყო მედლებით "კავკასიის დაცვისათვის", "შრომითი მამაცობისათვის სსრკ დიდ სამამულო ომში I94I-I945 წწ". მინდობილი ჰქონდა "საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის" საპატიო

ჩოლეშა (1362 წ). დაჯილდოებული იყო "სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით.

თ. ახვლედიანი იყო პრინციპული და საქმისადმი თავდადებული მუშაკი. მისი ხსოვნა დი დხანს იარსებებს მისი კოლეგების და მეგობრების გულში.

პედ. ინსტიტუტის რექტორატი, პარტიული კომიტეტი